ოქმი:**ო37. 37232902**
თარიღი:**17/10/2023**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის თამაზ ტუღუშის

ანგარიშის მოსმენის სხდომის

ოქმი

2023 წელი, 11 ოქტომბერი
სოფელი ნატანები
15.00-16.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ : საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, კოლეგები.

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე, სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს - აღნიშნა, რომ თამაზ ტუღუში, რომელიც არის სამი მოწვევის მაჟორიტარი დეპუტატი, არის საუკეთესო ადამიანი, მეგობარი და საკრებულოს წევრი. მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება. განაცხადა, რომ თ. ტუღუში რეგულარულად ესწრება და აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, ფრაქციისა და კომისიების მუშაობაში, თითქმის ყოველდღიური კონტაქტი აქვს ამომრჩევლებთან, ზრუნავს მათი პრობლემების მოგვარებაზე.

საკრებულოს წევრმა, თ. ტუღუშმა საკრებულოს რეგლამენტის 131 -ე მუხლის შესაბამისად, წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს, ფრაქციასა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში: თ.ტუღუშმა აღნიშნა, რომ მის მიერ მხარდაჭერილი პროექტებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო:“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში“,“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის საბიუჯეტო განაცხადის პროექტი“,2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანდაცვისა და სოცდახმარების გაცემისა და მიღების წესი.“ისაუბრა საანგარიშო პერიოდში ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე, სოფლებში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, გადაუჭრელ პრობლემებზე. აღნიშნა, რომ უშუალოდ მისი

შუამდგომლობითა და მერიის ჩართულობით მოგვარებული იქნა შემდეგი საკითხები: გადაიხურა სტიქიით დაზიანებული სახლები,რეაბილიტირებული იქნა გზები, დაიგო ასფალტის საფარი, გაიწმინდა სანიაღვრე არხები. ტენდერი დასრულებულია და უახლოეს დროში მოხდება ქვემო ნატანების საჯარო სკოლისა და საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია. დასასრულს უახლოვდება 730 ოჯახისათვის წყალსადენის მშენებლობა ზემო ნატანებში. ნატანების მე-12 უბანში წყლის ქსელის მშენებლობა 60 ოჯახისათვის ასევე ნარუჯა- წითელსხივის უბნების წყლის ქსელის მშენებლობა.

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. აღნიშნეს, რომ თამაზ ტუღუში არის საკრებულოს აქტიური წევრი, მაღალი პასუხისმგებლობით და პროფესიონალურად უდგება ყოველ პრობლემას, კოლეგიურად, ურთიერთთანამშრომლობით აგვარებს პრობლემატურ საკითხებს, წარმატებები უსურვეს მომავალ საქმიანობაში. აღინიშნა, რომ ანგარიში იყო უაღრესად საინტერესო და შინაარსიანი, შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს და მიზანშეწონილია შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია და აღნიშნა, რომ ანგარიში სრულად პასუხობს რეგლამენტის მოთხოვნებს, უსურვა წარმატებები მომავალ მუშაობაში.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი